ადამიანის
უფლებათა
პრიორიტეტი

Human
Rights
Priority

ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი

# 2008 აგვისტოს ომით დაზარალებულთა ქონებრივი მდგომარეობა

## პინეიროს პრინციპების ხელმისაწვდომობა და განხორციელება საქართველოში

## კვლევის შედეგები

2010 წ.

თბილისი, საქართველო

# 2008 აგვისტოს ომით დაზარალებულთა ქონებრივი მდგომარეობა

# პინეიროს პრინციპების ხელმისაწვდომობა და განხორციელება საქართველოში


რედაქტორი ნინო ციხისთავი

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლია მუხაშავრია

ნინო ციხისთავი

ნინო ბოლქვაძე

კარლი შერაზადიშვილი

მარიამ მაისურაძე

ხათუნა ავლოხაშვილი

ფიქრია მეფარიშვილი

# კვლევის შედეგები

## კვლევის მიზანი

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მთელ ქვეყანას და განსაკუთრებით, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას. ყველაზე მეტად დაზარალდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ასევე გორის, ქარელისა და კოდორის ხეობის მოსახლეობა. საომარი მოქმედებების დამთავრების შემდგომ დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნდა იმ სოფლებში, რომლებიც არ იყო ოკუპირებული. ომის შედეგად განადგურებული აღმოჩნდა მათი ქონების უდიდესი ნაწილი (მათ შორის მოსავალი), მოსახლეობას გადამწვარი და დანგრეული დახვდა საცხოვრებელი სახლები, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" ე.წ. სასაზღვრე სოფლებში მოსახლეობის დაბრუნების შემდეგ ახორციელებს მონიტორინგს მათი უფლებრივი მდგომარეობის შესწავლისა და, ასევე, მოსახლობისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის მიზნით.

წინამდებარე კვლევამ, რომელიც მონიტორინგის პროგრამის მიმართულებით განხორციელდა, ექვსი ე.წ. სასაზღვრე სოფელი მოიცვა: ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი, კოშკა და ერგნეთი. კვლევით გათვალისწინებული საველე საქმიანობა ჩატარდა 2010 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში.

ჩვენ შევეცადეთ, მონიტორინგის პროგრამის განხორციელებისას ე.წ. სასაზღვრე სოფლებში გამოვლენილი პრობლემები წარმოგვეჩინა. კვლევის განსაკუთრებული ინტერესი კი, მოსახლეობის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობა გახლდათ – **თუ რამდენად დაცულია ადამიანის უფლება ქონებრივ რესტიტუციაზე ე.წ სასაზღვრე სოფლებში.**

ჩვენი შეხედვით, ქონებრივი რესტიტუციის უფლებებისა და მასთან დაკავშირებული დავების სამართლიანად მოგვარების მნიშვნელობა ხანგრძლივი მშვიდობისათვის გადამწყვეტი ფაქტორია. მით უფრო მაშინ, როდესაც ომის და/ან კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ვსაუბრობთ ომის შედეგების ლიკვიდაციისას.

ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი და თავად დაბრუნება, მოიცავს **ქონებრივი რესტიტუციის ცალკეულ დებულებებს დაბრუნებულთა ხელშეწყობის მიზნით.** სწორედ გორის რაიონის აღნიშნულ სოფლებში, მას შემდეგ, რაც 2008 წ. ნოემბერში მასობრივად დააბრუნეს ომით დევნილი მოსახლეობა საკუთარ

სახლებში, ჩვენი ინტერესის საგანი გახდა მათი **ქონებრივი უფლებების რეალიზაცია.** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, შეგვესწავლა და გაგვანალიზებინა ის ზარალი და ზიანი, რაც ამ მოსახლეობას ომით მიადგა, შეგვეფასებინა, როგორია შესაბამისობა საკანონმდებლო ნორმებსა და არსებულ საჭიროებას შორის, რომ ადამიანის უფლება საკუთრებაზე დაცული იყოს.

კვლევის მიზანი აგრეთვე გახლდათ, აღმოგვეჩინა **საკანონმდებლო ხარვეზები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები ხელისუფლებისათვის**, რათა მან მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომები. ზემოთქმულიდან გამომდნარე, მოცემული ანგარიში შეიცავს კანონმდებლობის მოკლე ანალიზს, სადაც საუბარია ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებზე.

კვლევის ჩატარებისას ჩვენი მთავარი ამოსავალი გახლდათ ის, რომ შეგვეფასებინა, ომით დაზარალებული მოსახლეობის ქონება და დარღვეული ქონებრივი უფლების აღდგენის შესაძლებლობები. კვლევამ ვინძლო უპასუხოს მთავარ შკითხვას, რომელსაც საზოგადოება აყენებს: დაზიანებული ქონების აღდგენის მოთხოვნა და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება **'თვითნებური'** თუ **'არაკანონიერი'** არის ომით დაზარალებული ადამიანებისთვის?

საგულისხმოა, აქავე ავხსნათ დაინტერესებული საზოგადოებისთვის, რომ **თვითნებურია ქმედება**, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული და ნორმატიული საფუძველი. **არაკანონიერია ქმედება**, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მოცემულ კანონს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს.

გვინდა კიდევ ერთხელ განვმარტოთ ტერმინი **რესტიტუცია** – რომელშიც ვგულისხმობთ სამართლიანობის უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალებას (ანუ რესტიტუციული მართლმსაჯულების ფორმას), რომელიც საშუალებას აძლევს დაზარალებულ პირებსა თუ პირთა ჯგუფს, დაუბრუნდეს მდგომარეობას, რომელიც ჰქონდა ზარალის ან ზიანის მიყენებამდე.

გამოვთქვამთ იმედს, რომ წინამდებარე კვლევა დაეხმარება ყველა დაინტერესებულ მხარეს, ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებებს, რათა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ომით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად, უფრო ეფექტიანი და ქმედითი გახდეს.

ჩვენი მიზანია, ფართე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ წინამდებარე კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციები, რადგან ვიმედოვნებთ, რომ ეს პუბლიკაცია ასევე დაეხმარება დაზარალებულ ადამიანებს, უკეთ გაერკვნენ საკუთარ უფლებებში და იბრძოლონ მათ დასაცავად, რადგან გვჯერა, რომ **'არა არს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე'.**

## კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მეთოდი გახლავთ რაოდენობრივი გამოკითხვა გორის რაიონის ე.წ. სასაზღვრე სოფლებში - ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტიანთკარი, კოშკა და ერგნეთი. გამოკითხვის ინსტრუმენტი – კითხვარი სპეციალურად შემუშავდა ამ კვლევის ჩასატარებლად და დაეფუძნა პინეიროს

პრინციპებს ქონებრივი რესტიტუციის შესახებ. შერჩეულ სოფლებში გამოიკითხა 400 ადამიანი. ეს რაოდენობა შესაბამისად გადანაწილდა სოფლებზე[i] (მოსახლეობის მიხედვით) და სტატისტიკურად სანდოა, რომ ვიმსჯელოთ ზოგადად არსებულ სურათზე და ტენდენციებზე.

კვლევის ანალიზში აგრეთვე გამოყენებულია ორგანიზაციის სტრატეგიული სამართალწარმოების პროცესით მიღებული გამოცდილება და ფაქტობრივი მონაცემები. ორგანიზაცია ეყრდნობა საკუთარ შედეგებს ომის შემდეგ ქონებრივი უფლებების აღდგენის საქმეებზე წარმომადგენლობაზე როგორც სასამართლო, აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოებში საჩივრების განხილვისას. ამდენად, პინეიროს პრინციპების შესრულების შეფასება შესაძლებელი გახდა ორგანიზაციის ადვოკატთა ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ჩაანაცვლა საველე რაოდენობრივი მასალა (მაგ. პრინციპი 12, პრინციპი 13), თუმცა, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ომის შემდგომ ქონებრივ დავებს მხოლოდ ჩვენი ორგანიზაცია აწარმოებს, და ეს მონაცემებია გამოყენებული ანალიზში, ამიტომ მიგვაჩნია სტატისტიკურად სანდო და ასევე, სამართლიანი კონკრეტული განზოგადოებებისთვისაც.

2005 წლის 11 აგვისტოს, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომისიამ დაამტკიცა **ქონებრივი რესტიტუციის პრინციპები, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის** (“პინეიროს პრინციპები”). პრინციპები იმ შვიდწლიანი პროცესის შედეგია, რომელიც ქვეკომისიამ დაიწყო 1998 წელს, “ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა დაბრუნების კონტექსტში ქონებრივი რესტიტუციის შესახებ” 1998/26-ე რეზოლუციის მიღებით. ამას მოჰყვა 2002-2005 წლებში ჩატარებული კვლევა და პრინციპები, რომლებიც შემუშავდა ქონებრივი რესტიტუციის საკითხებში ქვეკომისიის სპეციალური წარმომადგენლის პაოლო სერხიო პინეიროს მიერ.

“პინეიროს პრინციპები” წარმოადგენს ქონებრივი რესტიტუციის იურიდიული, პროცედული, ინსტიტუციური და ტექნიკური განხორციელების მექანიზმებს. “პრნციპები” წარმოადგენს სახელმძღვანელოს კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იყოს ქონებრივი რესტიტუციის უფლების პრაქტიკული აღსრულება და რესტიტუციის შესახებ კანონების, პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელება, რომელიც დაეფუძნება არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების შესახებ.

ჩვენი ინტერესიც სწორედ ის გახდა, რომ შეძლებისდაგვარად შეგვეგროვებინა ინფორმაცია ქონებრივ ზარალზე, რაც მოსახლეობას მიადგა 2008 წლის ომით და ერთგვარად გაგვეზომა ქონებრივი რესტიტუციის უფლება – მისი პრაქტიკული აღსრულება ფაქტობრივი ზარალისა და რესტიტუციის ხელმისაწვდომინბის კონტექსტში.

“პინეიროს პრინციპები” შედგება 23 პრინციპისგან. პრინციპებს ახასიათებს უაღრესად ფართო და ყოვლისმომცველი ბუნება. პინეიროს პრინციპები გულისხმობს მრავალი მიზნის მიღწევას, კერძოდ, ამტკიცებს ქონებრივი რესტიტუციის კონკრეტულ უფლებებს, განამტკიცებს მასთან დაკავშირებული უფლებების წყებას, დეტალურად გამოკვეთს იურიდიულ, პროცედურულ და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია რესტიტუციის უფლებების მისაღწევად და ბოლოს განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, აღნიშნული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის

საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები უნივერსალურია, ისინი გამოიყენება გადაადგილების ციკლის სხვადასხვა ეტაპზე - დევნილობის პერიოდში, დაბრუნების შემდეგ და სხვა.

ე.წ სასაზღვრე სოფლებში დაბრუნებული მოსახლეობის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად შემუშავებული კითხვარი ასახავს **სულ 9 პრინციპს** (23-დან). ეს პრინციპები ყველაზე მეტად რელევანტურია და ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენი კვლევის ინტერესს, კერძოდ: ქონების რესტიტუცია, დისკრიმინაციისაგან გათავისუფლება, ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, მოსახლეობის ჩართულობა, ინფორმირებულობა და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება, ასევე ეროვნული მექანიზმები და ეროვნული კანონმდებლობის საკითხები.

# ქონებრივი რესტიტუციის უფლება[ii]
# (პინეიროს) პრინციპი №2
## ქონება – ზარალი - შემოსავალი

**‘ქონებრივი რესტიტუციის უფლება წარმოადგენს თვითმყოფად უფლებას, რომელიც უცვლელი რჩება ქონებრივი უფლების მქონე ლტოლვილის, დევნილის დაბრუნების ან დაუბრუნებლობის მიუხედავად’ [iii]**

## მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ომამდე

გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრე სოფლების მკვიდრთა წლიური შემოსავლის ოდენობა ომამდე შემდეგნაირად გამოიყურება სოფლების მიხედვით:

**სოფელი კარბი**

სოფელ კარბის მკვიდრთაგან გამოიკითხა **85** ადამიანი. გამოვლინდა რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **85%**, რეგულარული სამსახური - **8%,** დროებითი დასაქმება - **8%**, პენსია - **36%**, სახელმწიფო შემწეობა - **9%**, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება - **1.5%,** ფერმერული საქმიანობა - **21%**. (აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა ნაწილი ეწეოდა რამოდენიმე საქმიანობას ერთდროულად, მაგალითად, ამუშავებდა სასოფლო სამეურნეო მიწას და ამავდროულად იყო დროებით დასაქმებული.)

გამოკითხულთა შემოსავლის ოდენობა 2008 წლის ომამდე შეადგენდა **1000** ლარამდე - **16 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **59%**, **4000** ლარის ზემოთ - **25 %** (იხ. ცხრილი №1).




*ცხრილი №1 გორის რაიონის სოფ. კარბის მკვიდრთა წლიური შემოსავალი.*

## სოფელი ერგნეთი

სოფელ ერგნეთის მკვიდრთაგან გამოიკითხა **54** ადამიანი. დადგინდა, რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **95%**, პენსია - **25%**, რეგულარული სამსახური - **10%**, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება - **27.5%**, მცირე მეწარმეობა - 5%, ფერმერული საქმიანობა - **42.5%**. (აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა ეწეოდა რამოდენიმე საქმიანობას ერთდროულად.)

წლიური შემოსავლის ოდენობა, 2008 წლის ომამდე, **1000**-დან **4000** ლარამდე დაასახელა რესპონდენტთა 50%-მა, 4000 ლარის ზემოთ 50%-მა. (იხ. ცხრილი №2)




*ცხრილი №2 გორის რაიონის სოფ. ერგნეთის მკვიდრთა წლიური შემოსავალი.*

## სოფელი ტყვიავი

სოფელ ტყვიავის მკვიდრთაგან გამოიკითხა **77** ადამიანი. დადგინდა, რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **92%**, რეგულარული სამსახური - **13%**, დროებითი დასაქმება - **5%**; სახელმწიფო შემწეობა - **3%**; პენნსია - **47%**, მცირე მეწარმეობა - **8%**, ფერმერული საქმიანობა - **20%**. (რესპოდენტთა ნაწილი ეწეოდა რამოდენიუმე საქმიანობას ერთდროულად, მაგალითად, ამუშავებდა სასოფლო სამეურნეო მიწას და ამავდროულად იყო დროებით დასაქმებული.)

გამოკითხულთა შემოსავლის ოდენობა ომამდე შეადგენდა **1000** ლარამდე - **12 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **53%**, **4000** ლარის ზემოთ - **45 %** (იხ. ცხრილი №3)




*ცხრილი №3 გორის რაიონის სოფ. ტყვიავის მკვიდრთა წლიური შემოსავალი*

## სოფელი მერეთი

სოფელ მერეთის მკვიდრთაგან გამოიკითხა **108** ადამიანი. გამოვლინდა რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **98%**; რეგულარული სამსახური - **7.5%**, დროებითი დასაქმება - **3%**, სახელმწიფო შემწეობა - **1%**, პენსია - **12%**, მცირე მეწარმეობა **2%**, ფერმერული საქმიანობა - **21%**. (რესპოდენტთა ნაწილი ეწეოდა რამოდენიუმე საქმიანობას ერთდროულად, მაგალითად, ამუშავებდა სასოფლო სამეურნეო მიწას და ამავდროულად იყო დროებით დასაქმებული.)

გამოკითხულთა შემოსავლის ოდენობა ომამდე შეადგენდა **1000** ლარამდე - **16 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **59%**, **4000** ლარის ზემოთ - **25 %** (იხ. ცხრილი №4)




*ცხრილი №4 გორის რაიონის სოფ. მერეთის მკვიდრთა წლიური შემოსავალი*

## სოფელი გუგუტიანთკარი

სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთაგან გამოიკითხა **41** ადამიანი. გამოვლინდა რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **90%**, რეგულარული სამსახური - **5%**, დროებითი დასაქმება - **15%**, სახელმწიფო შემწეობა - **5%**, პენსია - **45%**, ფერმერული საქმიანობა - **60%**. (რესპოდენტთა ნაწილი ეწეოდა რამოდენიმე საქმიანობას ერთდროულად, მაგალითად, ამუშავებდა სასოფლო სამეურნეო მიწას და ამავდროულად იყო დროებით დასაქმებული.)

გამოკითხულთა შემოსავლის ოდენობა ომამდე შეადგენდა **1000** ლარამდე - **10 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **30%**, **4000** ლარის ზემოთ - **50%**, პასუხი არ გასცა **10%**-მა. (იხ. ცხრილი №5)




*ცხრილი №5 გორის რაიონის სოფ. გუგუტიანთკარის მკვიდრთა წლიური შემოსავალი.*

**სოფელი კოშკი**

სოფელ კოშკის მკვიდრთაგან გამოიკითხა **38** ადამიანი. გამოვლინდა რომ გამოკითხულთა შემოსავლის ძირითად წყაროს 2008 წლის ომამდე შეადგენდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავება - გამოკითხულთა **100%**, რეგულარული სამსახური - **3%**, დროებითი დასაქმება - **10%**, სახელმწიფო შემწეობა - **7%**, პენსია – **27.5%**, ფერმერული საქმიანობა - **38%**. (რესპოდენტთა ნაწილი ეწეოდა რამოდენიუმე საქმიანობას ერთდროულად, მაგალითად, ამუშავებდა სასოფლო სამეურნეო მიწას და ამავდროულად იყო დროებით დასაქმებული.)

გამოკითხულთა შემოსავლის ოდენობა ომამდე შეადგენდა **1000** ლარამდე - **10 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **58%**, **4000** ლარის ზემოთ - **10%**, პასუხი არ გასცა **22%**-მა. (იხ. ცხრილი №6).




*ცხრილი №6 გორის რაიონის სოფ. კოშკის მკვიდრთა წლიური შემოსავალი.*

## მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა ომის შემდეგ

გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრე სოფლების მკვიდრთა **წლიური** შემოსავლის ოდენობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ასე გამოიყურება სოფლების მიხედვით:

**სოფელი კარბი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **44 %**, **1000 - 4000** ლარამდე - **50%, 4000** ლარის ზემოთ - **6%**.

მნიშვნელოვანია, რომ სოფელ კარბში სოციალურად დაუცველთა ოჯახებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა გაიზარდა **10%**-მდე.

**სოფელი ერგნეთი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **42.5%**, **1000 - 4000** ლარამდე - **50%**, **4000** ლარის ზემოთ - **0%**, კითხვას პასუხი არ გასცა - **7.5%**-მა.

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დამუშავებით დღეის მდგომარეობით დაკავებულია **32.5%**, პენსია, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო დაასახელეს გამოკითხულთა **52.5%-**მა, სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულია რესპონდენტთა **12.5%**.

**სოფელი ტყვიავი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **43%, 1000 - 4000** ლარამდე - **43%**, **4000** ლარის ზემოთ - **13%**, კითხვაზე პასუხი არ გასცა - **1%**-მა.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ტყვიავში პენსია, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო დაასახელა  რესპონდენტთა **61%-**მა, ხოლო სახელმწიფო შემწეობა - **7%-**მა.

**სოფელი მერეთი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **40%**, **1000 - 4000** ლარამდე - **55%**, **4000** ლარის ზემოთ - **3%**, კითხვაზე პასუხი არ გასცა - **2%**-მა.

აღსანიშნავია, რომ სოფელ მერეთში პენსია, როგორც შემპოსავლის ძირითადი წყარო დაასახელა  რესპონდენტთა **34%**-მა, ხოლო სახელმწიფო შემწეობა - **5%-**მა, ხოლო ფერმერულ საქმიანობას ასახელებს გამოკითხულთა მხოლოდ **2%**.

**სოფელი გუგუტიანთკარი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **60%**, **1000 - 4000** ლარამდე - **30%**, **4000** ლარის ზემოთ - **5%**, კითხვაზე პასუხი არ გასცა - **5%**-მა.

აღსანიშნავია, რომ სოფელ გუგუტიანთკარში მიწის დამუშავება და ფერმერული საქმიანობა, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო დაასახელა  რესპონდენტთა **25%**-მა და 5%-მა შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო შემწეობა - **30%**-მა.

**სოფელი კოშკი**

გამოკითხულთა წლიური შემოსავალი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს: **1000** ლარამდე - **76%**, **1000 - 4000** ლარამდე - **10%**, **4000** ლარის ზემოთ - **0%**, კითხვაზე პასუხი არ გასცა - **14%**-მა.

აღსანიშნავია, რომ სოფელ კოშკაში პენსია, როგორც შემოსავლის ძირითადი წყარო დაასახელა  რესპონდენტთა **55%-**მა.

# დისკრიმინაციისაგან თავისუფლების უფლება [iv] (პინეიროს) პრინციპი №3

## დისკრიმინაციის დე ფაქტო და დე იურე აკრძალვა

მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ კი უფლება, იყოს დისკრიმინაციისაგან თავისუფალი, სოფლების მიხედვით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

**სოფელი კარბი**

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულთა **72%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **16%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ **12%**-მა მიიჩნია, რომ დახმარება განაწილდა სამართლიანად. (ცხრილი №7.)




*ცხრილი №7. სოფელ კარბის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

**სოფელი ერგნეთი**

გამოკითხულთა **75%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **20%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ **5%**-მა მიიჩნია, რომ დახმარება განაწილდა სამართლიანად. (ცხრილი №8.)




*ცხრილი №8. სოფელ ერგნეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

### სოფელი ტყვიავი

გამოკითხულთა **74%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **19%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ **7%**-მა მიიჩნია, რომ დახმარება განაწილდა სამართლიანად. (ცხრილი №9.)




*ცხრილი №9. სოფელ ტყვიავის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

### სოფელი მერეთი

გამოკითხულთა **60%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **27%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ **13%**-მა მიიჩნია, რომ დახმარება განაწილდა სამართლიანად. (ცხრილი №10.)




*ცხრილი №10. სოფელ მერეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

### სოფელი გუგუტიანთკარი

გამოკითხულთა **55%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **35%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ **10%**-მა მიიჩნია, რომ დახმარება განაწილდა სამართლიანად. (ცხრილი №11.)




*ცხრილი №11. სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

**სოფელი კოშკი**

გამოკითხულთა **90%** -ს მიაჩნია, რომ 2008 წლის შემდგომ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მოსახლეობას შორის განაწილდა უსამართლოდ. **10%** -ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. (ცხრილი №12.)




*ცხრილი №12. სოფელ კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

## ადეკვატური საცხოვრებლის უფლება [v] (პინეიროს) პრინციპი №8

## საცხოვრებელი პირობები, დასაქმება

გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრე სოფლების მკვიდრთა დასაქმება და საცხოვრებელი პირობები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი სოფლების მიხედვით:

**სოფელი კარბი**

ჩვენი კითხვარი ითვალისწინებდა რესპონდენთა ოჯახის წევრთა რიცხვის შესახებ კითხვას. აღმოჩნდა, რომ სოფელ კარბში გამოკითხულთა ოჯახების წევრთა რაოდენობა შეადგენს **299** ადამიანს. ჩვენ გვაინტერესებდა მათი სოციალური მდგომარეობაც. გამოკითხვით დადგინდა, რომ **299** ადამიანიდან უმუშევარია **183** ადამიანი, **59** პენსიონერია, დასაქმებულია მხოლოდ **57**

ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ოჯახების **24%**-ს ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **76%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას აღნიშნავს რესპოდენტთა **3%**, იგივე პირობების არსებობას ასევე **3%**, გაუარესებას - **83%**, **11%** კი მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი. (ცხრილი №13.)




*ცხრილი №13. სოფელ კარბის მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

## სოფელი ერგნეთი

სოფელ ერგნეთში გამოკითხულთა ოჯახის წევრთა რიცხვმა შეადგინა **189**, მათ შორის **42** პენსიონერია, დასაქმებულია მხოლოდ **6** ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ოჯახების **3%**-ს ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **44%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას აღნიშნავს რესპოდენტთა **7.5%**, იგივე პირობების არსებობას **0%**, გაუარესებას - **80%**, **12.5%**-ს კი მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი. (ცხრილი №14.)




*ცხრილი №14. სოფელ ერგნეთის მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

## სოფელი ტყვიავი

სოფელ ტყვიავში გამოკითხულთა ოჯახის წევრთა რიცხვმა შეადგინა **258**, მათ შორის **65** პენსიონერია, დასაქმებულია მხოლოდ **19** ადამიანი, რაც იმას

ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ოჯახების **7.4%-ს** ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **67.8%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუარესებას აღნიშნავს რესპოდენტთა - **91%**, იგივე პირობების არსებობას **7%, 2%** კი მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი. (ცხრილი №15.)




*ცხრილი №15. სოფელ ტყვიავის მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

## სოფელი მერეთი

სოფელ ტყვიავში გამოკითხულთა ოჯახის წევრთა რიცხვმა შეადგინა **421**, მათ შორის **74** პენსიონერია, დასაქმებულია მხოლოდ **35** ადამიანი, შესაბამისად გამოკითხულთა ოჯახების **10%**-ს ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **90%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუარესებას აღნიშნავს რესპოდენტთა - **90%**, **2%** მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები დღეს უკეთესია, **8%**-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისია. (ცხრილი №16.)




*ცხრილი №16. სოფელ მერეთის მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

## სოფელი გუგუტიანთკარი

სოფელ ერგნეთში გამოკითხულთა ოჯახის წევრთა რიცხვმა შეადგინა **89**, მათ შორის **20** პენსიონერია, დასაქმებულია მხოლოდ **2** ადამიანი. აქედან გამომდინარე, გამოკითხულთა ოჯახების **3%**-ს ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **90%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას აღნიშნავს რესპოდენტთა **1%**, გაუარესებას - **65%**, **30%**-ს კი მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი. (ცხრილი №17.)




*ცხრილი №17. სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

**სოფელი კოშკა**

სოფელ კოშკაში გამოკითხულთა ოჯახის წევრთა რიცხვმა შეადგინა **142**, მათ შორის **27** პენსიონერია, დასაქმებულია **24** ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ოჯახების **21%**-ს ერთი წევრი დასაქმებულია, ხოლო **79%** -ის ყველა წევრი უმუშევარი.

2008 წლის ომის შემდგომ საცხოვრებელი პირობების გაუარესებას აღნიშნავს რესპოდენტთა **86%**, 14**%**-ს კი მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი პირობები არის გაუსაძლისი. (ცხრილი №18.)




*ცხრილი №18. სოფელ კოშკას მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

## ეროვნული პროცედურები, ინსტიტუტები, მექანიზმები [vi]

# (პინეიროს) პრინციპი №12

# ეფექტიანი, კომპეტენტური სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურები

ომით დაზარალებულთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში მათი აღდგენა ევალება შესაბამის კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ესენია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა განსახლების სამინისტრო, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და საქართველოს მთავრობა.

არც ერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დააკმაყოფილა არც ერთი ომით დაზარალებული პირის მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და საქართველოს მთავრობამაც გამართა არაერთი ზეპირი განხილვა, რომლის დროსაც ჩვენ მოგვეცა საშუალებ,ა კარგად აგვეხსნა და დაგვესაბუთებინა ომით მიყენებული ზარალის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების მოთხოვნის უდავო კანონიერება.

საქართველოს მთავრობა არის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ბიუჯეტის და შესაბამისად მისი ხარჯვითი ნაწილის შედგენა და შემდგომ მისი შესრულების უზრუნველყოფა. მთავრობას ასევე შეუძლია შეიმუშაოს სოციალურ-ეკონომიკურ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები და უზრუნველყოს (დააფინანსოს) მათი განხორციელება.

კანონის[vii] შესაბამისია, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. ამისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გააჩნია ყველა ბერკეტი. მთავრობა უფლებამოსილია დაგეგმოს და უზრუნველყოს სახელმწიფო სახსრებიდან სახელმწიფოს ვალდებულებების შესასრულებლად თანხების გამოყოფა[viii], განახორციელოს მიზნობრივი პროგრამები, შექმნას სხვა და სხვა საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისიები.

## ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა განცხადებით და საჩივრით

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონებრივი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით ჩვენ მივმართავთ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხის გადაწყვეტა. პირველ რიგში ეს არის ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოები, მუნიციპალიტეტები, შემდგომ

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, ასევე საქართველოს მთავრობა, საქართველოს სამინისტრობი და საქართველოს პრეზიდენტი.

ჩვენმა ორგანიზაციამ განახორციელა სახელმწიფო უწყებებთან კორესპონდენციის აღრიცხვა, რის შედეგად მიღებულ იქნა სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა სიხშირით სცემს პასუხს სახელმწიფო უწყება ჩვენს და ჩვენი კლიენტების მიერ გაგზავნილ წერილებსა და განცხადებებს.

2010 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ორგანიზაციამ მოთხოვნილ ინფორმაციაზე - გაგზავნილი 479 წერილიდან პასუხი მიიღო მხოლოდ 42-ზე.




ორგანიზაცია სახელმწიფო უწყებებისგან ძირითადად ითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემას და უმეტეს შემთხვევაში, პასუხს ვერ ღებულობს.
უკვე იოლი წარმოსადგენია კონკრეტული მოქალაქის მდგომარეობა, რომლის უკან არავითარი უფლებადაცვითი ორგანიზაცია არ დგას.

- ✓ **მატერიალური ზარალის შეფასების მოთხოვნა**

მოსახლეობისათვის ომის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასება სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის №591 განკარგულების საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენისათვის შეიქმნა სამთავრობო კომისია. ჩვენ არ ვიცით რა დააადგინა ზემოხსენებულმა კომისიამ, ვინაიდან ამ საკითხზე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავრობაში მიმართულ წერილზე პასუხი არ მოგსვლია. ორგანიზაციამ ომით დაზარალებული ყველა კლიენტის საქმეზე დააყენა მატერიალური ზარალის შეფასების მოთხოვნა. ჯერჯერობით ამ მოთხოვნათაგან არც ერთი არ დაკმაყოფილებულა.

- ✓ **საქმის განხილვა ადმინისტრაციულ ორგანოში**

2010 წლის 7 მაისამდე არც ერთ ადმინისტრაციულ ორგანოში არ მომხდარა ორგანიზაციის კლიენტის არც ერთი ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენა, თუმცა ორგანიზაცია, კლიენტის სახელით ამას ყოველთვის ითხოვდა.

2010 წლის 7 მაისს საქართველოს მთავრობამ განიხილა ერთერთი დაზარალებულის საქმე. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ეს ოჯახი დარჩა უსახლკაროდ. ოჯახის წევრებს არ მიუღიათ დევნილის სტატუსი, არც სახელმწიფო შემწეობა და არც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისს №534 განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული 10 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რომელიც ოჯახს ზემოხსენებული განკარგულების მიხედვით უნდა მიეღო, რადგანაც ამ ოჯახმა უარი განაცხადა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ დროებით საცხოვრებელზე. გარდა ამისა ოჯახს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა ორი ორსართულიანი სახლი, 1,5 ჰექტარის მიწის ნაკვეთი და სხვა ქონება, რომლის დაკარგვით მიყენებული მატერიალური ზარალი სახელმწიფოს არ აუნაზღაურებია.

2010 წლის 7 მაისვე საქართველოს მთავრობამ განიხილა სხვა ჩვენი კლიენტის საქმე, რომელსაც ომის დროს დაუწვეს სახლი და მთელი მისი ქონება. ამ დაზარალებულს ისევე, როგორც მსგავს შემთხვევებში მოხდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გადასცეს 15 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხები. ჩვენ მივმართეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საჯარო ინფორმაციის სახით მოვითხოვეთ სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც გაიცა ზემოაღნიშნული თანხა. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საპასუხოდ წარადგინა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, კერძოდ საქართველოს მთავრობის განკარგულებები, მაგრამ არც ერთ მათგანში არ იყო მითითებული ეს კონკრეტული ციფრი. ცხადია 15 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა ვერ ჩაითვლება საცხოვრებელი სახლის დაწვით მიყენებული მატერიალური ზარალის კომპენსაციად, ვინაიდან შეუძლებელია ყველა ასეთ შემთხვევაში მატერიალური ზარალი ყოფილიყო ერთნაირი. ამასთან თანხის ოდენობა აშკარად არ არის საკმარისი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც პირებს მიადგათ საცხოვრებელი სახლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სხვა საოჯახო ნივთების განადგურებით.

2010 წლის 14 მაისს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ჩვენი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მოხდა დაზარალებულის ახსნა-განმარტების მოსმენა. მოცემულ შემთხვევაში ომის დროს სეპარატისტებმა გაიტაცეს დაზარალებულის კუთვნილი ავტომანქანა. გორის მუნიციპალიტეტის იურიდიული განყოფილების უფროსმა განმარტა, რომ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გადმორიცხული 9 181 000 (ცხრა მილლიონ ასოთხმოცდაერთი ათასი) ლარის თანხა მიზნობრივად გახარჯულია ზარალის ასანაზღაურებლად, ხოლო თუ ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხის გადმორიცხვა შესაბამისად გაგრძელდება ზარალის ანაზღაურებაც.

# რესტიტუციის საქმეთა წარმოების ხელმისაწვდომობის უფლება [ix]

## (პინეიროს) პრინციპი №13

## სარჩელის შეტანის უფლება, შეზღუდვების მოხსნა

2008 წლის ომით დაზარალებულთა საქმეების წარმოებისას ჩვენს ორგანიზაციას შეხვდა სხვადასხვა სირთულე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გადაულახავი აღმოჩნდა სახელმწიფო ბაჟის საკითხი. სასამართლოები არ ათავისუფლებენ ომით დაზარალებულებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რის გამოც მათთვის მართლმსაჯულება ხელმიუწვდომელია. ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ 2008 წლის ომით დაზარალებულთა 12 საქმეს ეროვნულ სასამართლოში, 6 საქმე დატოვებულია განუხილველად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. მოსარჩელეთა ნაწილმა ომის შედეგად დაკარგა ყველანაირი უძრავი და მოძრავი ქონება, ცხოვრობს დევნილთათვის განკუთვნილ დროებით საცხოვრებელში, არის უმუშევარი. მიუხედავად ამისა სასამართლომ მაინც არ გაათავისუფლა ისინი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოში ათასობით ადამიანი სარგებლობს სოციალურიად დაუცველი პირის სტატუსით, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით[x] მათთვის არ არის გარანტირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობა, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის „ვ"ქვეპუნქტით სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან "მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით." შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სავალდებულო წესით არ თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც თუმცა რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ბაზაში, მაგრამ თუკი შემწეობის მიმღებთა კატეგორიაში ვერ მოხვდნენ, სახლემწიფო ბაჟისგან არ თავისუფლდებიან. თუმცა 2007 წლის 28 დეკემბრამდე სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი მოსარჩელეთა ასეთ კატეგორიას ათავისუფლებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამრიგად, არ სრულდება სახელმწიფოს ვალდებულება, არა მარტო ხელი შეუწყოს ომით დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის ქონებრივი რესტიტუციის ხელმისაწვდომობას, არამედ, ზოგადად, საზოგადოებისთვის სამართლიანი სასამართლო მიუწვდომელი რჩება.

# გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, კონსულტაციის მიღების უფლება [xi]

## (პინეიროს) პრინციპი №14

## ჩართულობა, მონაწილეობა, ინფორმირებულობა

ომით დაზარალებული მოსახლეობის **ჩართულობასა და ინფორმირებულობას** განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გასაზომად. მოსახლეობის ჩართულობის სურათი სოფლების მიხედვით შემდეგნაირია:

**სოფელი კარბი**

გამოკითხულთა **56%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **1.5%** -ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, **4%**-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს ნაწილობრივ, **27%**-ს უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, 16 %-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **21%**-მა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე მიიღო თემის რწმუნებულისაგან, **6%**-მა აღდგენითი სამუშაოების მწარმოებელი სამშენებლო კომპანიისაგან, **4%**-მა გამგებლისაგან, **3%**-მა მეზობლისაგან, **73%**-ს კი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №19.)




*ცხრილი №19. სოფელ კარბის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

**სოფელი ერგნეთი**

გამოკითხულთა **22.5%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **0%**-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, **22.3%**-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს ნაწილობრივ, **66.7%**-ს უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **11%**-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **9%**-მა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე მიიღო თემის რწმუნებულისაგან, **47%**-მა გამგებლისაგან, გუბერნატორისაგან და მოსახლეობისაგან - **5%, 39%**-ს კი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №20.)




*ცხრილი №20. სოფელ ერგნეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

**სოფელი ტყვიავი**

გამოკითხულთა **75%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **13.5%**-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს ნაწილობრივ, **65%-ს** უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **21.5%**-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **17%**-მა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე მიიღო თემის რწმუნებულისაგან, **2%**-მა გამგებლისაგან, **81%**-ს კი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №21.)




*ცხრილი №21. სოფელ ტყვიავის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

**სოფელი მერეთი**

გამოკითხულთა **47%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **4.5%**-ის მოთხოვნა დააკმაყოფილეს დაუყოვნებლივ, **9%** - ნაწილობრივ, **57%**-ს უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **29.5%**-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **19%**-მა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე მიიღო თემის რწმუნებულისაგან, **3%**-მა გამგებლისაგან, **3%**-მა მეზობლებისგან, **75%**-ს კი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №22.)




*ცხრილი №22. სოფელ მერეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

## სოფელი გუგუტიანთკარი

გამოკითხულთა **80%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **5%-ის** მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, **50%**-ს უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **45%**-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **10%**-მა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე მიიღო თემის რწმუნებულისაგან, **10%**-მა გამგებლისაგან, **80%**-ს კი ასეთი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №23.)




*ცხრილი №23. სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

## სოფელი კოშკი

გამოკითხულთა **62%**-მა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ომით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. **60%**-ს უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, **40%**-მა პასუხი ადმინისტრაცული ორგანოსაგან საერთოდ არ მიიღო.

გამოკითხულთა **100%**-მა განაცხადა, რომ ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დახმარებაზე საერთოდ არ მიუღია. (ცხრილი №24.)




*ცხრილი №24. სოფელ კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

# დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის უფლება [xii] (პინეიროს) პრინციპი №15

## ხელისუფლების ანგარიშვალდებულება

**ხელისუფლების ანგარიშვალდებულება** თავისთავად პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ქონებრივი უფლების განხორციელებისთვისა და, აგრეთვე ომის შედეგების ლიკვიდაციასთან. ამ მიმართულებით, სოფლებში ინფორმაცია ასე გამოვლინდა:

### სოფელი კარბი

გამოკითხულთა **52%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **15%** -მა განაცხადა, რომ ისინი მოდიან წელიწადში ერთხელ. **15%** - წელიწადში ორჯერ, **7%** - თვეში ერთხელ და **1.5%** - რომ თვეში ორჯერ, ხოლო **9.5%**-მა უარი თქვა პასუხის გაცემაზე.

გამოკითხულთა **33%** -მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზრალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფომრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, ისიც დაგვიანებით გაეცა განმცხადებელთა **5%**-ს, ხოლო **95%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **75%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **6%** თვლის, რომ ხელისუფლება რეაგირებს მათ პრობლემებზე, ხოლო **19%** -ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. (ცხრილი №25.)




*ცხრილი №25. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელი კარბის მონაცემებით.*

გამოკითხულთა **5%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **5%**-მა მიმართა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, **3%**-მა სასამართლოს, **87%**-მა განცხადების უპასუხოდ დატოვებაზე არ მოახდინა რეაგირება.

**სოფელი ერგნეთი**

გამოკითხულთა **37%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **37%** -მა განაცხადა, რომ ისინი მოდიან წელიწადში ერთხელ. **12.5%** - წელიწადში ორჯერ, **5%** - თვეში ერთხელ, ხოლო **8.5%**-მა უარი თქვა პასუხის გაცემაზე.

გამოკითხულთა **32.5%** -მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფორმრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, ისიც დაგვიანებით გაეცა განმცხადებელთა **10%**-ს, ხოლო **90%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **90%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **10%** თვლის, რომ ხელისუფლება რეაგირებს მათ პრობლემებზე. (ცხრილი №26.)




*ცხრილი №26. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელ ერგნეთში.*

გამოკითხულთა **5%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **95%**-მა განცხადების უპასუხოდ დატოვებაზე არ მოახდინა რეაგირება.

**სოფელი ტყვიავი**

გამოკითხულთა **47%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **13%** -მა განაცხადა, რომ ისინი მოდიან წელიწზდში ერთხელ. **1%** - წელიწადში ორჯერ, ხოლო **39%**-მა უარი თქვა პასუხის გაცემაზე.

გამოკითხულთა **56%** -მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფომრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, ისიც დაგვიანებით გაეცა განმცხადებელთა **9%**-ს, ხოლო **91%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **32%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **5%** თვლის, რომ ხელისუფლება დაუყოვნებლივ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **40%** - თვლის, რომ დაგვიანებით რეაგირებს, **23%**-მა არ გასცა პასუხი დასმულ კითხვაზე. (ცხრილი №27.)




*ცხრილი №27. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელ ტყვიავში.*

გამოკითხულთა **18%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **10%**-მა მიმართა ზემდგომ ადმინისტრაიულ ორგანოს.

**სოფელი მერეთი**

გამოკითხულთა **73%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **12%**-მა განაცხადა, რომ ისინი მოდიან წელიწადში ერთხელ. **15%** - წელიწადში ორჯერ, **10%**-მა - თვეში ერთხელ .

გამოკითხულთა **40%**-მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფომრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, ისიც დაგვიანებით გაეცა განმცხადებელთა **8%**-ს, ხოლო **64%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **30%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **6%** თვლის, რომ ხელისუფლება დაუყოვნებლივ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **54%** - თვლის, რომ დაგვიანებით რეაგირებს, **10%**-მა არ გასცა პასუხი დასმულ კითხვაზე. (ცხრილი №28.)




*ცხრილი №28. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელი მერეთის მონაცემებით.*

გამოკითხულთა **18%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **2%**-მა მიმართა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და **1%**-მა სასამართლოს.

## სოფელი გუგუტიანთკარი

გამოკითხულთა **50%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **25%**-მა განაცხადა, რომ ისინი მოდიან წელიწადში ერთხელ. **15%** - წელიწადში ორჯერ, **10%**-მა - თვეში ერთხელ.

გამოკითხულთა **25%**-მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფორმრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, ისიც დაგვიანებით გაეცა განმცხადებელთა **20%**-ს, ხოლო **80%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **60%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **15%** - თვლის, რომ დაგვიანებით რეაგირებს, **25%**-მა არ გასცა პასუხი დასმულ კითხვაზე. (ცხრილი №29.)




*ცხრილი №29. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელ გუგუტიანთკარში.*

გამოკითხულთა **25%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **75%**-მა განცხადების უპასუხოდ დატოვებაზე არ მოახდინა რეაგირება.

## სოფელი კოშკი

გამოკითხულთა **75%**-მა განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან მათი პრობლემების ადგილზე გასაცნობად, **10%**-მა განაცხადა, რომ

ისინი მოდიან წელიწადში ერთხელ. **7.5%** - წელიწადში ორჯერ, **7.5%**-მა - თვეში ერთხელ.

გამოკითხულთა **24%**-მა მიმართა ხელისუფლებას 2008 წლის ომის შედეგად სახელმწიფოს მიერ დაზარალებულთათვის გასაწევი დახმარების შესახებ ინფომრმაციის გამოთხოვის მიზნით. პასუხი, გაეცა განმცხადებელთა **28%**-ს, ხოლო **72%** დარჩა უპასუხოდ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა **96%** აცხადებს, რომ ხელისუფლება არ რეაგირებს მათ პრობლემებზე, **4%** - თვლის, რომ დაგვიანებით რეაგირებს. (ცხრილი №30.)




*ცხრილი №30. ხელისუფლების ორგანოების რეაგირება 2008 წლის ომით დაზარალებულთა პრობლემებზე სოფელი კოშკის მონაცემებით.*

გამოკითხულთა **10%**-მა მიმართა ხელისუფლებას განცხადებით განმეორებით, **100%**-მა განცხადების უპასუხოდ დატოვებაზე არ მოახდინა რეაგირება.

# საკანონმდებლო ზომები [xiii]

# (პინეიროს) პრინციპი №18

# ეროვნული კანონმდებლობა ქონებრივ რესტიტუციაზე

პინეიროს პრინციპები ქართულ კანონმდებლობაში საკმარისად ადეკვადურად არის ასახული. საკანონმდებლო ანალიზი, რომელსაც წარმოგიდგენთ, გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ არა მხოლოდ სარეკომენდაციო მიდგომებზე ომით დაზარალებული მოსახლეობის ქონებრივი უფლებების აღდგენისას, არამედ სახელმწიფოსთვის სრულიად სავალდებულო ნაწილზე, რომელიც არ შესრულდა დღემდე.

2006 წელს საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი **"ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ",** რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და რომელმაც 2006 წლის გაზაფხულზე ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მოწონება დაიმსახურა. ნახევარწლიანი მუშაობის შემდეგ, 2007 წლის პირველ იანვარს ძალაში შევიდა

საქართველოს კანონი **"ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ",** ამ კანონით სახელმწიფო აღიარებს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ განმტკიცებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ თითოეული ადამიანის უფლებას საკუთრებასა და ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებზე, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, რელიგიისა, მრწამსისა, პოლიტიკური, თუ სხვა შეხედულებისა, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას აღადგინოს და საერთაშორისო სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა.

**"ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ",** საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია: "*ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული ფიზიკური პირების ქონებრივი რესტიტუცია, ან ადეკვატური (სანაცვლო) უძრავი ქონებით უზრუნველყოფა, ან ქონებრივი ზიანის კომპენსაცია".* ამავე კანონის მე-3 მუხლში კი პირდაპირ არის ასახული გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომისიის მიერ დამტკიცებული რესტიტუციის (პინეიროს) პრინციპები:

1. სამართლიანობა და თანასწორობა;
2. კანონიერება;
3. ადამიანის ღირსების, საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა პატივისცემა და უზრუნველყოფა;
4. ადამიანის უფლება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო სტრუქტურებში მასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
5. ადამიანის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანი სამართლებრივი საჭიროებებით;
6. სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას მოქალაქეებისა და თავის ტერიტორიაზე მყოფ პირთა წინაშე;
7. იძულებით გადაადგილებული პირების თავისუფლად და ნებაყოფლობით დაბრუნების უფლების გარანტირებას.

ქონებრივი რესტიტუციის და კომპენსაციის შესახებ კანონით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, მე-6 მუხლის შესაბამისად: იქმნება რესტიტუციის და კომპენსაციის კომისია 3 წლის ვადით, ხოლო თუ კომისია უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ვერ შეძლებს არსებული დავების სრულად გადაწყვეტას, კომისია გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილების გარკვეულ ვადით გაგრძელების შესახებ. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად კომისიის მიზანია, კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ პირთათვის მოახდინოს:

- **ქონების დაბრუნება;**
- **ადეკვატური (სანაცვლო) საცხოვრებლით უზრუნლველყოფა;**
- **ქონებრივი ზიანის კომპენსაცია.**

ადამიანის უფლებას ქონების რესტიტუციაზე ასევე მოიცავს საქართველოს კანონი **იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ, რომლის** მე-7

მუხლის შესაბამისად, თუ იძულებით გადაადგილებული პირი დაუბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს:

*ა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო უზრუნველყოფენ მისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, იღებენ ზომებს რათა დევნილის მუდმივი საცხოვრებელ ადგილზე შეიქმნას უსაფრთხო ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები; დევნილს მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტისთვის არსებული სახით; მიყენებული ზარალის კომპენსირება, მისი ზღვრული ოდენობის განსახღვრის შემდეგ, განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით, აგრეთვე საცხოვრებლად უვარგისი ბინის აღდგენის შემთხვევაში მოქალაქეს მიეცეს იქ დაბრუნების გარანტია.*

**რესტიტუციის უფლებას მოიცავს საქართველოს კანონი საომარი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ ამ კანონის** მე-13 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აანაზღაუროს საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

*„საომარი მდგომარეობის მოქმედების დროს ან მისი თავიდან აცილებისათვის, ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით დაზარალებულ მოქალაქეებს სახელმწიფო უზრუნველყოფს საცხოვრებელი სადგომებით, უნაზღაურებს მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში და უწევს სხვაგვარ დახმარებას"*

*ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ: „ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურების და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი."*

გარდა ამისა, 2008 წლის 8 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო №591 განკარგულება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა *რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი და დამდგენი სამთავრობო კომისია.* ზემოაღნიშნული განკარგულების თანახმად კომისიაში შედიოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი (კომისიის თავჯდომარე), საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე. ე. ი. მთავრობისა და შვიდი

სამინისტროს თექვსმეტ თანამდებობის პირს დაევალა სამთავრობო უწყებებში შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია და მათი შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვადასხვა კომისიისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგების შეჯერება.

ლოგიკურია, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნა უფრო ადრე ვიდრე ომის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებულ იქნა სხვა განკარგულებები, ვინაიდან ზიანის ანაზღაურება შეფასების გარეშე ვერ მოხდებოდა, აქედან გამომდინარე ზემოთხსენებულ კომისიას და მასში შემავალ სამუშაო ჯგუფებს უნდა უზრუნველეყო 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო საქტორის ყოველი წარმომადგენლისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესწავლა და დადგენა. 2010 წლის 24 აპრილს კომისიამ დაასრულა მუშაობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რესტიტუციის უფლება საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც საერთაშორისო ისე ეროვნული კანონმდებლობით, ანუ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომლის მიხედვითაც ომის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულ პირს, რომელსაც მიადგა ქონებრივი ზიანი უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ქონებრივი რესტიტუცია.

## სრული და კანონიერი კომპენსაციის უფლება [xiv] (პინეიროს) პრინციპი №21

## ზარალის კომპენსაცია

2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად **მიყენებული მატერიალური ზარალი** შემდეგნაირადაა წარმოდგენილი სოფლების მიხედვით:

**სოფელი კარბი**

გამოკითხულთა **2%** ცხოვრობს კოტეჯში იმის გამო, რომ მათი სახლები განადგურდა 2008 წლის ომის დროს, **10%** -ის სახლები განადგურებულია მთლიანად ან ნაწილობრივ, **70%**-ს დაბზარული აქვთ სახლის კედლები. **27%**-ს საომარი მოქმედებების დროს ჩაემსხვრა მინები, **57%**-ს დაუზიანდა სახურავი.

გამოკითხულთა **28%** -მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **64%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია, **8%**-მა არ იცის შეფასდა თუ არა მათთვის მიყენებული ზარალი. (ცხრილი №31.)

*ცხრილი №31. სოფელ კარბის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულიდან **28** პირმა თავად ვერ შეაფასა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალის ოდენობა, დანარჩენების მიერ მათთვის ომით მიყენებული ზარალი შეაფასეს ჯამში **683 500** (ექვსასოთხმოცდასამიათას ხუთასი) ლარით.

**სოფელი ერგნეთი**

გამოკიტხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **100%** 2008 წლის ომამდე ფლობდა საცხოვრებელ სახლს, მიწის ნაკვეთით, ასევე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს. დღეის მდგომარეობით საცხოვრებლად ვარგისს სახლს ფლობს მხოლოდ **22.5%,** აღდგენას ექვემდეარება **27.5%, 50%-**ზე მეტი კი საცხოვრებლად უვარგისია. **7.5%** -ის მფლობელობაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მთლიანად დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, **22.5%**-ის სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კი ნაწლობრივ დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გამოკითხულთა **37.5%** -მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **50%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია, **12.5%-**მა არ იცის შეფასდა თუ არა მათთვის მიყენებული ზარალი. (ცხრილი №32.)




*ცხრილი №32. სოფელ ერგნეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულთა შეფასებით, 2008 წლის ომით მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **920 000** (ცხრაასოცოათასი) ლარი.

**სოფელი ტყვიავი**

გამოკიტხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **100%** 2008 წლის ომამდე ფლობდა საცხოვრებელ სახლს, მიწის ნაკვეთით, ხოლო სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს - **96%**. დღეის მდგომარეობით საცხოვრებლად ვარგისს სახლს ფლობს მხოლოდ **91.5** %, მათ შორის ომის დროს დაზიანდა **75%**, დღეის მდგომარეობით, **8.5%**-ზე საცხოვრებლად უვარგისია.

გამოკითხულთა **40%** -მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **60%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია. (ცხრილი №33.)




*ცხრილი №33. სოფელ ტყვიავის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულთა **95%**-ის შეფასებით, 2008 წლის ომით მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **1 240 000** (მილიონ ორასორმოცი ათასი) ლარი. დანარჩენმა **5%**-მა ვერ შეაფასა მისთვის ომით მიყენებული ზარალი.

**სოფელი მერეთი**

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **100%** 2008 წლის ომამდე ფლობდა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთები. დღეის მდგომარეობით ნაკვეთების **24%** დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად, ხოლო **26%** ნაწილობრივ.

გამოკითხულთა **25%** -მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **75%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია. (ცხრილი №34.)




*ცხრილი №34. სოფელ მერეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულთა **82%**-ის შეფასებით, 2008 წლის ომით მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **2 400 000** (ორი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი. დანარჩენმა **18%**-მა ვერ შეაფასა მისთვის ომით მიყენებული ზარალი.

## სოფელი გუგუტიანთკარი

გამოკიტხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **100%** 2008 წლის ომამდე ფლობდა საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს. დღეის მდგომარეობით, ნაკვეთების **40%** დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად,და ხოლო **60%** ნაწილობრივ. საცხოვრებელი სახლების **10%** დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად.

გამოკითხულთა **10%**-მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **90%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია. (ცხრილი №35.)




*ცხრილი №35. სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულთა **95%**-ის შეფასებით, 2008 წლის ომით მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **290 700** (ორასოთხმოცდაათიათას შვიდასი) ლარი. დანარჩენმა **5%**-მა ვერ შეაფასა მისთვის ომით მიყენებული ზარალი.

## სოფელი კოშკი

გამოკიტხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **100%** 2008 წლის ომამდე ფლობდა საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს. დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი სახლების **3%** დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად. ნაკვეთების **10%** დარჩენილია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად,და ხოლო **7%** ნაწილობრივ.

გამოკითხულთა **14%**-მა აღნიშნა, რომ მათთვის 2008 წლის ომით მიყნებული ზარალი შეფასდა სახელმწიფოს მიერ, **86%**-ისათვის სახელმწიფოს ასეთი შეფასება არ განუხორცილებია. (ცხრილი №36.)




*ცხრილი №36. სოფელ კოშკის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენებული ზარალის შეფასება.*

გამოკითხულთა **48%**-ის შეფასებით, 2008 წლის ომით მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა **104 000** (ასოთხი ათასი) ლარი. დანარჩენმა **52%**-მა ვერ შეაფასა მისთვის ომით მიყენებული ზარალი.

## მატერიალური ზარალის ანაზრაურება 2008 წ. აგვისტოს ომის შემდგომ სოფლების მიხედვით:

### სოფელი კარბი

გამოკითხულთა **81%** დარწმუნებულია, რომ 2008 წლის ომის შედეგად მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ **19%** ამაში დარწმუნებული არ არის.

ფულადი დახმარება მიიღო გამოკითხულთა **7%**-მა - ჯამში **53 420** (ორმოცდაცამეტიათას ოთხასოცი) ლარი, მინები ჩაუსვეს **26%** სახურავები გაუკეთდა **33%**-ს, **42%**-მა განაცხადა, რომ არანაირი დახმარება სახელმწიფოსაგან არ მიუღია.

**6%** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ მთლიანად აუნაზღაურა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალი, **52%**-ს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ, ხოლო **42%** აცხადებს, რომ მათ ხელისუფლებამ მატერიალური ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურა. (ცხრილი №37.)




*ცხრილი №37. სოფელ კარბის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

## სოფელი ერგნეთი

გამოკითხულთა **100%** თვლის, რომ მათ ხელისუფლებამ უნდა აუნაზღაუროს 2008 წლის ომით მიყენებული მატერიალური ზარალი. ზარალი ნაწილობრივ აუნაზღაურდა **75%**-ს, ნაწილობრივ - **25%**-ს.

რესპონდენტთა **57.5%** თვლის, რომ მათი მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების შესახებ გაითვალისწინეს ნაწილობრივ, ხოლო **42.5%**-ს მიაჩნია, რომ მათი მოთხოვნები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. (ცხრილი №38)




*ცხრილი №38. სოფელ ერგნეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

## სოფელი ტყვიავი

გამოკითხულთა **100%** დარწმუნებულია, რომ 2008 წლის ომის შედეგად მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ.

ფულადი დახმარება მიიღო გამოკითხულთა **27%**-მა - ჯამში **195 000 აშშ** (ასოთხმოცდათხუთმეტი ათასი) დოლარის ექვივალენტი ლარებში და **12 500** ლარი, სამშენებლო მასალები მიიღო - **25%**-მა, **48%**-მა განაცხადა, რომ არანაირი დახმარება სახელმწიფოსაგან არ მიუღია.

**50%**-ს მიაჩნია რომ ხელისუფლებამ ნაწილობრივ აუნაზღაურა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალი, ხოლო **50%** აცხადებს, რომ მათ ხელისუფლებამ მატერიალური ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურა. (ცხრილი №39.)




*ცხრილი №39. სოფელ ტყვიავის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

## სოფელი მერეთი

გამოკითხულთა **100%** დარწმუნებულია, რომ 2008 წლის ომის შედეგად მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ.

ფულადი დახმარება მიიღო გამოკითხულთა **2%**-მა - ჯამში **30 000 აშშ** (ოცდაათი ათასი) დოლარის ექვივალენტი ლარებში, სამშენებლო მასალები მიიღო - **7%**-მა, **38%**-მა განაცხადა, რომ დახმარება მიიღო პროდუქტის სახით, **53%**-მა განაცხადა, რომ არანაირი დახმარება სახელმწიფოსაგან არ მიუღია.

**18%**-ს მიაჩნია,რომ ხელისუფლებამ ნაწილობრივ აუნაზღაურა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალი, ხოლო **82%** აცხადებს, რომ მათ ხელისუფლებამ მატერიალური ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურა. (ცხრილი №40.)




*ცხრილი №40. სოფელ მერეთის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

## სოფელი გუგუტიანთკარი

გამოკითხულთა **90%** დარწმუნებულია, რომ 2008 წლის ომის შედეგად მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ **10%** ამაში დარწმუნებული არ არის.

ფულადი დახმარება მიიღო გამოკითხულთა **5%**-მა - ჯამში **10 000** (ათი ათასი) ლარი, სამშენებლო მასალა მიიღო **7.5%,** საკვები პროდუქტი მიიღო **10%**-მა, **70%**-მა განაცხადა, რომ არანაირი დახმარება სახელმწიფოსაგან არ მიუღია.

**20%**-ს მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ნაწილობრივ აუნაზღაურა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალი, ხოლო **80%** აცხადებს, რომ მათ სახელმწიფომ მატერიალური ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურა. (ცხრილი №41.)




*ცხრილი №41. სოფელ გუგუტიანთკარის მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

**სოფელი კოშკი**

გამოკითხულთა **96%** დარწმუნებულია, რომ 2008 წლის ომის შედეგად მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ **4%** ამაში დარწმუნებული არ არის.

სამშენებლო მასალა მიიღო გამოკითხულთა **7%,** საკვები პროდუქტი მიიღო **24%**, **71%**-მა განაცხადა, რომ არანაირი დახმარება სახელმწიფოსაგან არ მიუღია.

**10%** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ნაწილობრივ აუნაზღაურა 2008 წლის ომით მიყენებული ზარალი, ხოლო **90%** აცხადებს, რომ მათ ხელისუფლებამ მატერიალური ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურა. (ცხრილი №42. )




*ცხრილი №42. სოფელ კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.*

# დ ა ს კ ვ ნ ა

**კვლევის მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ 2008 წლის ომამდე გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრე სოფლების მოსახლეობის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი იყო დაკავებული სასოფლო სამეურნეო მიწის დამუშავებითა და ფერმერული საქმიანობით, გაცილებით ნაკლები ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი, და პენსიასა და სახელმწიფო შემწეობაზე - როგორც ძირითადი შემოსავლის წყაროზე – მთლიანად დამოკიდებული. რეგიონში მოსახლეობის წლიური შემოსავალი 2008 წ. ომამდე შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: 1000 ლარამდე – 11%, 4000 ლარამდე – 51%; 4000 ლარს ზემოთ – 34 %, (4% გაუჭირდა შეფასება). ხოლო 2008 წ. აგვისტოს ომის შემდეგ სურათი სემდეგნაირად შეიცვალა: 1000 ლარამდე – 51%, 4000 ლარამდე – 40%; 4000 ლარს ზემოთ – 4 %, (5% გაუჭირდა შეფასება).**




*ცხრილი №43. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთა წლიური შემოსავალი 2008 წლის ომამდე და ომის შემდგომ.*

რესპონდენტთა ოჯახების წლიური შემოსავლის ოდენობა 2008 წლის ომამდე და ომის შემდგომ მნიშვნელოვნად განსხვავებულია (ცხრილი №43.). გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათი წლიური შემოსავალი დღეის მდგომარეობით არ აღემატება 1000 ლარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრავალი ოჯახის ყოველთვიური შემოასავალი არ აღემატება 100 ლარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წლის აგვისტოს მონაცემებით საქართველოში მცხოვრები საშუალო ოჯახის ყოველთვიური საარსებო მინიმუმი შეადგენს 224.7 ლარს[xv]. შესაბამისად, ამ ოჯახების უმეტესობის ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ორჯერ და მეტად ნაკლებია.

გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრე სოფლებში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა განპირობებულია, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების არასრული ლიკვიდაციით, ასევე უმუშევრობით. სოფლის მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ ნაკვეთებზე უმრავლესობას ჰქონდა გაშენებული ხეხილის ბაღები მრავალწლიანი ნარგავებით, რომელთა მოვლით ისინი ღებულობდნენ შემოსავალს. ომის შედეგად ბევრი მათგანი ამ საქმიანობას ვეღარ ეწევა.

სოფლებში დღემდე არის 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები. მათი აღდგენა სრულად არ მომხდარა. ბევრ მათგანში ცხოვრება საშიშია შენობის ჩამოქცევის საშიშროების გამო, კედლები დაბზარულია და დეფორმირებული, ზოგ შემთხვევაში ფანჯრებში არ არის ჩასმული მინები, დაზიანებული ან უხარისხოდ დამონტაჟებული სახურავების გამო სველდება და ზიანდება სახლის კედლები, რის გამოც უარესდება ადამიანების საცხოვრებელი პირობები. გამოკითხულთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ომის შემდგომ მათი საცხოვრებელი პირობები გაუარესდა. (ცხრილი №44.) 2008 წ. ომის შემდეგ საცხოვრებელი პირობები გორის რაიონის სოფლებში შემდეგნაირად შეიცვალა: უკეთესი პირობები აღნიშნა რესპონდენტთა 2%-მა; საცხოვრებლად იგივე პირობები, როგორც ომამდე ჰქონდათ, აღნიშნა ასევე 2%-მა; საცხოვრებლად უარესი პირობები აღნიშნა 82%-მა; ხოლო სხოვრებისთვის გაუსაძლისი პირობები აღნიშნა 13%-მა. (1% -მა თავი შეიკავა შეფასებისგან).




*ცხრილი №44. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთა საცხოვრებელი პირობები 2008 წლის ომამდე და 2008 წლის ომის შემდგომ.*

**ომით დაზარალებულთა უმრავლესობისათვის სახელმწიფოს მხრიდან ზარალის შეფასების პროცესი არ იყო გამჭვირვალე. (ცხრილი №45.) გამოკითხულთაგან 23% თვლის, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეფასდა მათთვის ომით მიყენებული ზარალი; 74% მიაჩნია, რომ ზარალი სახელმწიფოს მხრიდან არშეფასდა; 3% რეპონდენტებისა არ არის დარწმუნებული შეფასება განხორციელდა, თუ არა.**




*ცხრილი №45. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის შეფასება.*

**თავად დაზარალებულებს ზარალის შეფასების პროცესში არ მიუღიათ მონაწილეობა, რის შედეგადაც საომარი მოქმედებების შედეგების ლიკვიდაცია და მატერიალური ზარალის ანაზღაურება თუ მოხდა, მოხდა არასრულად და უსამართლოდ. (ცხრილი №46.) რესპონდენტთა 1% თვლის, რომ ომით მიყენებული ზარალი სახელმწიფომ სრულად აუნაზღაურა. 35% თვლის, რომ სახელმწიფომ ნაწილობრივ აუნაზღაურა ზარალი; ხოლო 64%-ს მიაჩნია, რომ ომით მიყენებული ზარალი საერთოდ არ აუნაზღაურებია სახელმწიფოს.**




*ცხრილი №46. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენეული ზარალის ანაზღაურება.*

ამასთან, 208 წ. ომით დაზარალებულებმა განსაკუთრებით განიცადეს დისკრიმინაცია ხელისუფლების მხრიდან. დიდი რაოდენობა ომით დაზარალებული ადამიანებისა აღმოჩნდა არათანაბარ პირობებში სხვა დაზარალებულებთან შედარებით. დაზარალებულთათვის დისკრიმინაცია გამოიხატა (და არა მხოლოდ): ნაკლები ზიანის აღმოფხვრა დაზიანებულ სახლებში (მინების ჩასმა) და იმავდროულად ცხოვრებისათვის საშიში ზიანი დატოვება ხელუხლებლად; პრიორიტეტული სამუშაოების დროში უსამართლო გადანაწილება; (ცხრილი №47.) რესპონდენტთა 9 % თვლის, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია; 63%-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების განაწილების დროს ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, ხოლო გამოკითხულთა 22%-მა თავი შეიკავა.




*ცხრილი №47. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ სახელმწიფო დახმარების განაწილება.*

ხელისუფლების ორგანოებმა დაზარალებულთა უმრავლესობას არ მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დახმარება იყო მათთვის გათვალისწინებული სახელმწიფო სახსრებიდან. უფრო მეტიც, დაზარალეულთა მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარდგენილ განცხადებებზეც უმეტესობას არ სცემენ პასუხს. (ცხრილი №48). რესპონდენტთა 13% ამბობს, რომ ინფორმაცია მიიღო თემის რწმუნებულისაგან; 11% აცხადებს, რომ ინფორმაცია გამგებლისაგან მიიღო; 1% ამბობს, რომ ინფორმაცია მიიღო სხვა წყაროდან; ხოლო გორის რაიონის სოფლის მოსახლეთა 75% აცხადებს, რომ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დახმარება იყო მათთვის გათვალისწინებული სახელმწიფო სახსრებიდან – საერთოდ არ მიუღიათ.




*ცხრილი №48. გორის რაიონის საფლების, კარბის, ერგნეთის, ტყვიავის, მერეთის, გუგუტიანთკარისა და კოშკას მკვიდრთათვის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ სახელმწიფო დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*

გარდა ამისა, კვლევამ გვიჩვენა, რომ ხელისუფლება სათანადოდ არ ინტერესდება ომით დაზარალებულთა პრობლემებით და არ ახდენს ამ პრობლემების შესახებ შეტყობინებებზე შესაბამის რეაგირებას.

მართალია, მოსახლეობის თითქმის 100% დარწმუნებულია, რომ მათთვის ომით მიყენეყებული ზარალი უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ, მაგრამ მატერიალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი განცხადებების, ხელისუფლების მხრინად უპასუხოდ დატოვებას ან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, თითქმის არავინ არ ასაჩივრებს ზემდგომ ინსტანციაში. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთმა გაასაჩივრა მის მოთხოვნაზე უარი სასამართლოში. უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ სამართლებრივი გზით საკუთარი უფლების დაცვას დადებითი შედეგი არ მოყვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 2008 წლის ომის შემდგომ ომით დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის პროცესი დაიწყო და მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევა ეხებოდა მხოლოდ იმ დაზარალებულებს, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. რაც შეეხება იმ პირებს, რომლების დღესაც დევნილები არიან და ცხოვრობენ სახელმწიფოს მიერ მიცემულ დროებით საცხოვრებლებში, მათი ქონების რესტიტუციის პროცესი არც კი დაწყებულა.

# ომით დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის რეკომენდაციები:

1. საერთაშორისო სამართლითა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობით ნაკისრი რესტიტუციის ვალდებულების შესრულება და ამისათვის შესაბამისი პროცესების დაწყება;

2. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის შეფასების დოკუმენტის ხელმისაწვდომობა;
3. ომით დაზარალებული მოსახლეობის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გამარტივებული წესით ხელმისაწვდომობა;
4. იმ მოსახლეობისთვის, რომელთაც დაკარგეს მიწის ნაკვეთები, რაც მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, მოხდეს ალტენატიული მიწების გამოყოფა, ან მიწის ღირებულების საბაზრო ფასიდან გამომდინარე კომპენსაციის გადახდა;
5. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი სახსრებისა და თავად სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების და ეფექტიანობის მონიტორინგი და დაზარალებული მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფა ამ პროცესში;
6. რეგიონში ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;
7. რეგიონში ინვესტორების მოზიდვა (მაგ.: გადამამუშავებელი ქარხნების გახსნა), რათა მოსახლეობას შეეძლოს მიღებული ს/მ მოსავლის რეალიზაცია;
8. სოფლებში არხების გაყვანა და ჭაბურღილების გაკეთება, რათა მოხდეს მოსახლეობის სარწყავი და სამელი წყლით უზრუნველყოფა;
9. რეგიონის გაზიფიკაცია;
10. მოსახლეობის პოტენციალის შეფასება, შესაბამისი გადამზადებისა და სხვადასხვა პროგრამების შემუშავება და შემდგომი დასაქმება. მოსახლეობის ჩაბმა სარეაბილიტაციო სამუშაოებში;
11. ომის შედეგად დაზარალებული ბავშვების მომარაგება სასკოლო სახელმძღვანელოებით, სწავლის მთელი კურსის განმავლობაში;
12. რეგიონის სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის სწავლის საფასურის შეღავათების უზრუნველყოფა;

13. ომით დაზარალებული მოსახლეობისათვის პინეიროს პრინციპების, შესაბამისი უფლებებისა და მოქმედი კანონმდებლობის სავალდებულო გაცნობა და იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.
14. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წახალისება და ქმედითი ხელშეწყობა, ჩაერთონ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სპეციალური სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და ცალკეული პროგრამების განხორციელების მონიტორინგში ომით დაზარალებულთა ქონებრივი უფლებების და, შესაბამისად ომის შედეგების ლიკვიდაციის პროცესში.

---

[i] კარბი – 85, ერგნეთი – 54, ტყვიავი – 77, მერეთი – 108, გუგუტიანთკარი – 41, კოშკა – 38

[ii] პრინციპი 2. ქონებრივი რესტიტუციის უფლება

2.1 ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის უფლებაა დაიბრუნოს საცხოვრებელი, მიწა ანდა საკუთრება, რომელიც თვითნებურად ან არაკანონიერად ჩამოართვეს ან მიიღოს სკომპენსაცია საცხოვრებელზე, მიწაზე ანდა საკუთრებაზე, რომლის აღდგენაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს დადგენილების მიხედვით, ფაქტობრივად შეუძლებელია.

2.2 სახელმწიფოებმა აშკარა პრიორიტეტად უნდა დასახონ რესტიტუცია, როგორც უპირატესი სამართლებრივი საშუალება და რესტიტუციული მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილი. რესტიტუციის უფლება წარმოადგენს თვითმყოფად უფლებას, რომელიც უცვლელი რჩება ქონებრივი უფლების მქონე ლტოლვილისა და თუ იძულებით გადაადგილებული პირის დაბრუნების ან დაუბრუნებლობის მიუხედავად.

[iii] პრინციპი №2, ქონებრივი რესტიტუციის უფლება, გაერო, 2005

[iv] **პრინციპი 3. დისკრიმინაციისაგან განთავისუფლება**

3.1 ყველას აქვს უფლება იყოს დაცული დისკრიმინაციისაგან რასობრივი, სქესობრივი, ენობრივი, რელიგიური, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, უნარშეზღუდულობის, დაბადების ან სხვა სტატუსის ნიშნით.

3.2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის კარძალვა დე ფაქტო და დე იურე დაყ ველა ადამიანის, მათ შორის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თანასწორობა კანონის წინაშე.

[v] **პრინციპი 8. ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უფლება**

8.1 ყველას აქვს ადეკვატური საცხოვრებლის უფლება.

8.2 სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ შეამსუბუქონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, რომლებიც არაადეკვატურ საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან.

[vi] **პრინციპი 12. ეროვნული პროცედურები, ინსტიტუტები და მექანიზმები**

12.1 სახელმწიფომ უნდა შექმნას მიუკერძოებელი, ოპერატიული, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პროცედურები, ინსტიტუტები და მექანიზმები და ხელი შეუწყოს მათ ქონებრივი რესტიტუციის მოთხოვნის განცხადების განხორციელებაში. როცა არსებული პროცედურები, ინსტიტუტები და მექანიზმები და ქმედითია, უნდა გამოიყოს სათანადო ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსები რესტიტუციის პროცესის მიუკერძოებლად და დროულად წარმართვისათვის.

12.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქონებრივი რესტიტუციის პროცედურები, ინსტიტუტები და მექანიზმები ითვალისწინებდეს ასაკობრივ და გენდერულ ასპექტებს და აღიარებდეს ქალებისა და მამაკაცების, ისევე, როგორც გოგონებისა და ვაჟების თანასწორობას, რაც ასახავს, ბავშვის საუკეთესო ინტერესებით მოქმედების ძირითად პრინციპს.

12.3 სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სამართლებრივი ზომები ქონებრივი რესტიტუციის პროცესის ხელშეწყობისათვის. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სტრუქტურები სათანადო ადამიანური და სხვა რესურსებით საკუთარი საქმიანობის მიუკერძოებლად და დროულად წარმართვისათვის.

12.4. სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქონებრივ რესტიტუციასთან დაკავშირებული ყველა სათანადო პროცედურეს ინსტიტუტისა და მექანიზმის ეფექტიანობას, მათ შორის, უნდა ჩამოყალიბდეს სახელმზღვანელო პრინბციპები, რომლებიც ეხება: ინსტიტუციურ სტრუქტურებს, თანამშრომლების გადამზადებასა და სამუშაოს მოცულობას, პრეტენზიებისა და გამოძიების პროცედურებს, საკუთრებისა და მფლობელობის სხვა უფლებების გადამოწმებას და გადაწყვეტილებების მიღების, მათი განხორციელებისა და აპელაციის მექანიზმებს. სახელმწიფოებს შეუძლიათ, აღნიშნულ პროცესში ჩართონ დავების მოგვარების ალტერნატიული ან არაოფიციალური მექანიზმები, თუ კი ისინი შეესაბამება ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარულ საერთაშორისო სამართალს. მათ შორის უფლებას, დისკრიმინაციისგან თავისუფლების შესახებ.

12.5. ქვეყნებში, სადაც არ ხერხდება კანონის უზენაესობის განხორციელება, ან სადაც მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქონებრივი რესტიტუციის პროცესის მიუკერძოებელი და დროული განხორციელებისთვის აუცილებელი პროცედურების ინსტიტუტებისა და მექანიზმების არსებობას, სახელმწიფომ უნდა მიმართოს სათანადო საერთაშორისო სააგენტოებს, ტექნიკური დახმარებისა და თანამშრომლობისათვის, რათა ჩამოყალიბდეს

დროებითი მექანიზმები. რომლებიც უზრუნველყოფს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირებს პროცედურებით, ინსტიტუტებითა და მექანიზმებით, რომლებიც აუცილებელია როგორც გადაადგილების შედეგების გადაჭრის ეფექტიანი საშუალებები.

12.6. სახელმწიფოებმა უნდა ჩართონ ქონებრივ რესტიტუციასთან დაკავშირებული პროცედურები, ინსტიტუტები და მექანიზმები სამშვიდობო ხელშეკრულებებსა და ნებაყოფლობით რეპატრიაციის პროგრამებში. სამშიდობო ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა კონკრეტულ მოვლეობებს ქონებრივი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც მოითხოვს გადაადგილების შედეგების მოგვარების ეფექტიანი საშუალებების არსებობას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. გადაუჭრელობის შემთხვევაში კი – საფრთხეს, რომელიც შეუშლის სამშვიდობო პროცესს. ამასთანავე, ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი რესტიტუციის უფლება, როგორც გადაადგილების შედეგების ლიკვიდაციის უპირატესი ფორმა.

[vii] „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი.

[viii] ამაზე თუ გვპასუხობენ, ეს თანხები დახმარებისთვის იყო გამოყოფილიო, მაშინ მითუმეტეს უნდა გამოყონ თანხები მაშინ როდესაც კანონით დაკისრებული ვალდებულებაა სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი.

## [ix] პრინციპი 13. რესტიტუციის საქმეთა წარმოების ხელმისაწვდომობა

13.1 ყველას, ვისაც თვითნებურად ან უკანონოდ ჩამოერთვა საცხოვრებელი, მიწა ანდა საკუთრება უნდა შეეძლოს სარჩელის შეტანა რესტიტუციის ანდა კომპენსაციის მოთხოვნით დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ რაიმე შეზღუდვა რესტიტუციის სარჩელის შეტანაზე.

13.4 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა დაზარალებულ პირს ჰქონდეს სრული ინფორმაცია რესტიტუციის მოთხოვნის პროცესზე, რომ აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს წარმოშობისა და მიმღებ ქვეყნებში.

13.5. სახელმწიფოებმა უნდა შეეცადონ, რესტიტუციის მოთხოვნების საკითხებზე სპეციალური ცენტრების ჩამოყალიბებას ყველა იმ რეგიონში, სადაც შეიძლება განსახლებულნი იყვნენ პოტენციური მოსარჩელეები. ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დაზარალებულებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ განაცხადები ჩააბარონ როგორც ფოსტით, ან ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით, ასევე პირადად. სახელმწიფოებმა ასევე უნდა განიზილონ მობილური ჯგუფების შექმნის შესაძლებლობაც,. რათა ყველა პოტენციურ მოსარჩელეს ჰქონდეს საკუთარი უფლების გამოყენების საშუალება.

13.6. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საცხოვრებლის, მიწის ანდა საკუთრების მომხმარებლებს, მათ შორის, მობინადრეებს, ჰქონდეთ რესტიტუციის მოთხოვნის პროცესში მონაწილეობის მიღების ან რესტიტუციის კოლექტიური მოთხოვნის წარდგენის საშუალება.

13.7. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ რესტიტუციის მოთხოვნის განაცხადის ისეთი ფორმები, რომლებიც მარტივია, ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი, და შესრულებულია დაზარალებულთა მშობლიურ ენაზე. ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო დახმარება ფორმების შევსების დროს გენდერული და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

13.8. როცა შეუძლებელია, რესტიტუციის მოთხოვნის განაცხადის ფორმების საკმარისად გამარტყივება, მოთხოვნის პროცესის კომპლექსური ხასიათის გამო, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო კვალიფიკაციის პირების ჩართვა პოტენციურ მოსარჩელესთან კონფიდენციალური კონულტაციების ჩასატარებლად გენდერული და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რათა მიიღონ სრული ინფორმაცია დაზარალებულთა სახელით განაცხადის ფორმის შესავსებად;

13.9. სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ რესტიტუციის მოთხოვნის განაცხადების ჩაბარების მკვეთრი ვადები. ინფორმაცია ვადების შესახებ ფართოდ უნდა იქნებს გავრცელებული და ეს ვადა საკმარისი უნდა იყოს ყველა დაზარალებულისთვის რესტიტუციის მოთხოვნის განაცხადის ჩასაბარებლად. გფანმცხადებელთა შესაძლო რიცხვის ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლო პრობლემების გადაადგილების მასშტაბების, სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ხელმისაწვდომობისა და წარმოშობის ქვეყანასა თუ რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

13.10. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირებს, ვისაც სპეციალური დახმარება ესაჭიროება, მათ შორის, წერა-კითხვის უცოდინარ და უნარშეზღუდულ პირებს, გაეწიოს სათანადო დახმარება და უარი არ უთხრან რესტიტუციის მოთხოვნის პროცესში მონაწილეობაზე..

13.11. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რესტიტუციის მოთხოვნის მსურველებს გაეწიოთ სათანადო იურიდიული დახმარება შეძლებისდაგვარად უფასოდ. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების გაწევა შეიძლება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის მიერ, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო, იგი უნდა აკმაყოფილებდეს თანასწორობის არადისკრიმინაციულობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებრლობის სტანდარტებს, რათა თავიდან იქნას აცილებული რესტიტუციის მოთხოვნის პროცესის ტენდენციურობა.

13.12 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არავინ ისჯებოდეს ან იდევნებოდეს რესტიტუციის მოთხოვნის გამო.

[x] **სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქარტველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.**

**[xi] პრინციპი 14. სათანადო კონსულტაცია და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში**

14.1. სახელმწიფოებმა და სხვა საერთაშორისო და ეროვნულმა სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებაყოფლობითი რეპატირაცია და ქონებრივი რესტიტუციის პროგრამები ხორციელდებოდეს დაზარალებულ პირებთან თუ ჯგუფებთან კონსულტაციებით და მათი თანამონაწილეობით.

14.2. სახელმწიფოებმა და სხვა საერთაშორისო და ეროვნულმა სუბიექტებმა განსაკუთრებით უნდა უზრუნველყონ ქალების, ადგილობრივი მკვიდრი) მოსახლეობის, რასობრივი და ეთნიკური უნცირესობებისა და ბავშვების წარმომადგენლობა და მონაწილეობა რესტიტუციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და მათთვის სათანადო საშუალებებისა და ინფორმაციის მიწოდება.

**[xii] პრინციპი 15. ოფიციალური ჩანაწერები და დოკუმენტაცია საცხოვრებლის, მიწის და სხვა უძრავი ქონების შესახებ**

15.1. სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ, აღადგინონ ეროვნული მრავალპროფილიანი საკადასტრო და სხვა სესაბამისი სისტემები ქონებრივი უფლებების რეგისტრირებისათვის, რაც უნდა წარმოადგენდეს რესტიტუციის ნებისმიერი პროგრამის განუყოფელ ნაწილს და რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას.

15.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი სასამართლო, კვაზი სასამართლო, ადმინისტრაციული თუ ტრადიციულ წესებზე დამყარებულ განაჩენს საცხოვრებლის, მიწის ან და საკუთრების უფლებების კანონიერების შესახებ თან სდევდეს სათანადო ქმედებები და უზრუნველყოფდეს ამ საცხოვრებლის, მიწის ან და საკუთრების უფლებების რეგისტრირებასა თუ განსაზღვრას, რაც აუცილებელია იურიდიული გარანტიების უზრუნველსაყოფად საცხოვრებლიდან დაუსაბუთებელი გამოსახლების

წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ლტოლვილთა და ჰუმანიტარულ საერთაშორისო სამართალს და სხვა შესაბამის სტანდარტებს, მათ შორის დისკრიმინაციისაგან თავისუფლების უფლებას.

15.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველეყონ რომ რეგისტრირების სისტემები ასახავდნენ ტრადიციული და მკვიდრი მოსახლეობის (თემების) უფლებას კოლექტიურ მიწათმფლობელობაზე.

15.4. სახელმწიფოებმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თუ სხვა უფლებამოსილმა სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ არსებული რეგისტრირების სისტემების დაცვა, რომ ისინი არ მოიშალოს კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. საცხოვრებლის, მიწის და საკუთრების შესახებ ჩანაწერების განადგურებისაგან დაცვა შესაძლებელია მათი ადგილზე დაცვის მექანიზმების საშუალებით, ან აუცილებლოსბი შემთხვევაში დროებით უსაფრთხო ადგილას გადატანით, ან სპეციალური მომსახურების გამოყენებით, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს იძლევა.

15.5 სახელმწიფოებმა და სხვა უფლებამოსილმა სუბიექტებმა ან ინსტიტუტებმა მოსარჩელის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის მოთხოვნის საფუძველზე უნდა გასცენ მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის ასლი, რომელიც აუცილებელია რესტიტუციის მოთხოვნის განცხადების ანდა დასაბუთებისათვის. აღნიშნული დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა გაიცეს უფასოდ ან მინიმალური საფასურის გადახდის შემდეგ.

15.6. სახელმწიფოებმა და სხვა უფლებამოსილმა სუბიექტებმა ან ინსტიტუტებმა, რომლებიც უძღვებიან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრირების პროცესს, უნდა ითავონ რესტიტუციის პროცესთან დაკავშირებული და მისი ხელშემწყობვი ინფორმაციის შეგროვება. მაგალითად: შესაძლებელია, პირის სარეგისტრაციო კითხვარში ინფორმაციის მითითების მოთხოვნა, კონკრეტული ლტოლვილისა თუ იძულებით გადაადგილებული პირის ყოფილი საცხოვრებლის, მიწის საკუთრების ან მუდმივი საცხოვრებლის ადგილის, ადგილმდებარეობისა და სტრატუსის შესახებ. მსგავსი ინფორმაციის მოძიება უნდა მიმდინარეობდეს ლტოლვილებისა თუ იძულებით გადაადგილებული პირების გამოკითხვის ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევის დროს. მათ შორის დევნილობის პერიოდში.

15.7. როცა მასობრივი გადაადგილების პირობებში საკუთრებისა თუ მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს, ან მწირია სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის აღიარების გადაწყვეტილება, რომ საკუთარი სახლ-კარი გადაადგილებულმა პირებმა ძალადობისა თუ კატასტროფების დროს სწორედ ამ ძალადობისა თუ კატაკლიზმების დროს მიატოვეს და ამიტომ აქვთ საცხოვრებლის, მიწის და საკუთრების რესტიტუციით სარგებლობის უფლება. ასეთ შემთხვევებში, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია დამოუკიდებლად დაადგინოს ფაქტები რესტიტუციის მოთხოვნის არადოკუმენტირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

15.8. სახელმწიფოები ვერ აღიარებენ კანონიერად საცხოვრებლის, მიწის ან და საკუთრების გადაცემას, რომელიც განხორციელდა თავისუფლების აღკვეთის ან პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის სხვა ფორმების გამოყენებით, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს.

## [xiii] პრინციპი 18. საკანონმდებლო ზომები

18.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებრივი რესტიტუციის უფლება იყოს აღიარებული და წარმოადგენდეს კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქონებრივი რესტიტუციის უფლების გამაგრება ყველა აუცილებელი საკანონმდებლო ხერხებით, მათ შორის, სათანადო კანონების, კანონქვემდებარე აქტების

ანდა პრაქტიკის მიხედვით, მათში შესწორების შეტანით ან გაუქმებით. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუსაონ საკანონმდებლო ბაზა ქონებრივი რესტიტუციის უფლების დასაცავად, რომელიც იქნება ნათელი, თანამიმდევრული და აუცილებლობის შემთხვევაში, ერთ კანონად ჩამოყალიბებული.

18.2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სათანადო კანონი ნათლად განსაზღვრავდეს ყველა პირს, ან და დაზარალებულ პირთა ჯგუფს, განსაკუთრებით ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულებს, ვისაც აქვს ქონებრივი რესტიტუციის კანონიერი უფლება. უშუალოდ მოსარჩელის გარდა აღიარებული უნდა უყოს ასევე მოსარჩელე მხარის ოჯახის სხვა წევრთა უფლებებიც, მათ შორის დევნილობისას მაცხოვრებელი ოჯახის წევრები – ცოლი, ქმარი, პარტნიორები, მარჩენალზე დამოკიდებული ოჯახის წევრები, კანონიერი მემკვიდრეები და სხვები, ვისზეც ვრცელდება რესტიტუციის უფლება, გარდა უშუალო მოსარჩელისა.

18.3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ქონებრივი რესტიტუციის საკითხებს ეხება, იყოს თანამიმდევრული, როგორც შინაარსობრივად, ისე სხვა აქამდე არსებულ შეთანხმებებთან მიმართებაში. კერძოდ, სამშვიდობო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან ნებაყოფლობითი რეპატრიაციის შესახებ, იმ პირობით, რომ ხსენებული ხელშეკრულებები თვითონ შეესაბამებიან ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული საკითხების შესახებ საერთაშორისო სამართალსა და სხვა შესაბამის სტანდარტებს.

### [xiv] პრინციპი 21. კომპენსაცია

21.1 ყველა ლტოლვილსა და იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს უფლება მიიღოს სრული და კანონიერი კომპენსაცია, რაც რესტიტუციის პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კომპენსაცია შეიძლება გამოხატული იყოს ფულადი სახით ან ნატურითსამართლიანობის აღდგენის პრინციპის დაცვით სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპენსაციის საშუალება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა რესტიტუცია, ფაქტობრივად შეუძლებელია, ან როცა დაზარალებული მხარე გაცნობიერებულად და ნებაყოფლობით ირცევს რესტიტუციას რესტიტუციის სანაცვლოდ, ან როცა სამშვიდობო მოლაპარაკებების პირობები ითვალისწინებს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომბინაციას.

21.2 სახელმწიფობმა უნდა უზრუნველყონ, რომ რესტიტუცია, როგორც წესი, ფაქტობრივად შეუძლებლად მხოლოდ გამონაკლისს სიტუაციებში შეიძლება ჩაითვალოს, კერძოდ, როცა საცხოვრებელი, მიწა ანდა საკუთრება განადგურებულია ან აღარ არსებობს, რაც უნდა დაადგინოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. აღნიშნულ გარემოებებშიც კი, საცხოვრებლის, მიწის ანდა საკუთრების უფლებებით მოსარგებლე პირს უნდა ჰქონდეს საკუთრების აღდგენის არჩევანიც. ზოგჯერ კომპენსაციისა და რესტიტუციის კომბინაცია შეიძლება სამართლიანობის პრინციპის ააღდგენის ყველაზე შესაფერისი ფორმა აღმოჩნდეს.

**[xv] საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი www.geostat.ge**